ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4866356

ნომერი: AR1732745

თარიღი : 15.02.2020

გაცემის თარიღი : 19.02.2020

გაცნობის თარიღი : 20.02.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისის,ნინო რამიშვილის ქუჩის N1 ჩიხი1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მაკარიძე პ/ნ 21001001693
- თერჯოლა 4 ძმის ქ. N 31

ნომენკლატურა :

- აშენებული
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- ლეგალიზება
- პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

განმცხადებლის მიერ ნომენკლატურის მიხედვით მოთხოვნილია პროექტის დარღვევით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ლეგალიზება, მოთხოვნის ტექსტის მიხედვით კედლის ლეგალიზება, პროექტის მიხედვით კი მონიშნულია ასევე სალეგალიზაციო სარდაფი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნომენკლატურა, მოთხოვნა და დოკუმენტაცია ერთმანეთთან უნდა იყოს შესაბამისობაში მოყვანილი, კერძოდ: განმცხადებელი ითხოვს მთლიანად პროექტის დარღვევით აშენებული კორპუსის ლეგალიზებას, მიშენებას, თუ შენობის ნაწილის (კედელი) ლეგალიზებას, რისთვისაც უპირველესყოვლისა არჩეული უნდა იქნას ზუსტი ნომენკლატურა და დაზუსტებული მოთხოვნის ტექსტი, რისი შესაბამისი დოკუმენტაციაც წარმოდგენილი უნდა

იქნას შესაბამის ველ(ებ)ში.

აღსანიშნავია ასევე, რომ წარმოდგენილ ფოტოსურათებში მითითებულია სალეგალიზაციო ფართის კონტური, თუმცა განცხადებით საუბარია კედლის ლეგალიზებაზე. არქიტექტურულ პროექტში მონიშნულია როგორც კედელი, ასევე საუბარია სალეგალიზებო ფართზე (რაც ურთიერთშეუსაბამოა), სადაც დაფიქსირებული კარის მიმართულება ასევე არ შეესაბამება არსებულ მდგომარეობას. წარმოდგენილია ექსპლუატაციის აქტი, სადაც მითითებული მისამართი არ შეესაბამება განცხადებით მოთხოვნილი ობიექტის არსებულ მისამართს, რაც ასევე გაურკვეველია თუ მოთხოვნა პროექტის დარღვევით აშენებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ლეგალიზებაზეა, როგორ არის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებული (მაშასადამე არჩეული უნდა იქნას ზუსტი ნომენკლატურა, ხოლო თუ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი პროექტის დარღვევით არის აშენებული, წარმოდგენილი უნდა იქნას შეთანხმებული პროექტი სალეგალიზებო ობიექტზე (რომლის დარღვევითაც აშენდა) და მშენებლობის ნებართვის ასლი, ხოლო

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2014 წლის 12 დეკემბრის#17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში აირჩიოს ზუსტი ნომენკლატურა, დააზუსტოს მოთხოვნის ტექსტი, წარმოადგინოს ნომენკლატურისა და მოთხოვნის მიხედვით შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის:
ა) დამატებითი და ახლო მანძილიდან გადაღებული კარგად აღქმადი ფოტოსურათები - სალეგალიზებო კონკრეტული ობიექტის მონიშვნით;
ბ) შესწორებული და შესაბამისობაში მოყვანილი არქიტექტურული პროექტი;
გ) დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დადასტურდება ექსპლუატაციის აქტში მითითებული მისამართისა და სალეგალიზებოდ წარმოდგენილი ობიექტის ერთმანეთთან შესაბამისობა/იდენტიფიკაცია;
დ) შეთანხმებული პროექტისა და მშენებლობის ნებართვის ასლი (რომლის დარღვევით აშენებული ობიექტის ლეგალიზებასაც ითხოვს განმცხადებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));
2. გაცნობებთ, რომ ხარვეზის გამოსწორებისათვის გეძლევათ 10 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.